მარინა თბილელი

საქართველოს სახალხო არტისტი მარინა თბილელი (ოფიციალური სახელი და გვარი – მარინე დომბროვსკაია) დაიბადა 1920 წლის 25 ოქტომბერს თელავში, მოსამსახურის ოჯახში.

1926 წელს ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. გოგონა სასწავლებლად შეიყვანეს 65-ე შრომის სკოლაში. შვიდწლედის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო პედაგოგიურ ტექნიკუმში რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. ამ პერიოდში თბილისში სამწლიანი კინოსამსახიობო სასწავლებელი გაიხსნა. მარინას, სამსონ სულაკაურმა, ვისი თაოსნობითაც სასწავლებელი გაიხსნა, შემთხვევით მოჰკრა თვალი, მოეწონა და თავის სასწავლებელში ჩარიცხა, რომლის დამთავრების შემდეგ ნიჭიერ გოგონას არ გასჭირვებია სწავლა გაეგრძელებინა ახალგახსნილ თეატრალურ ინსტიტუტში, სამსახიობო ფაკულტეტის მესამე კურსზე.

თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე ითამაშა პირველი სერიოზული როლი – ტაჯიკი გოგონა მირ-ახმედოვა აკაკი ვასაძის სპექტაკლში („პავლე გრეკოვი“).

1940 წელს დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი და ამავე წელს ჩაირიცხა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასში მსახიობად. მომხიბვლელ ახალგაზრდა მსახიობს თეატრალური გვარი აკაკი ვასაძემ შეურჩია და თბილელად მონათლა. სწორედ ამ ფსევდონიმით იცნობდა მარინა თბილელს ქართული თეატრისა და კინოს მაყურებელი.

თეატრში მუშაობის პირველ პერიოდში მის მიერ განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია: აბიგაილი – ეჟენ სკრიბის „ერთი ჭიქა წყალი“, ნინო – გიორგი ერისთავის „დავა“, ლაურა – ლოპე დე ვეგას „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი“, ლიზეტა – კარლო გოლდონის „საპატარძლო აფიშით“, თეკლა ბატონიშვილი – სანდრო შანშიაშვილის „კრწანისის გმირები“ და სხვა.

1944 წელს მარინა თბილელი ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ პერიფერიული თეატრების განვითარების მიზნით აფხაზეთში, სოხუმში გაიგზავნა ქართული თეატრის დასში მსახიობად. ერთი სეზონის განმავლობაში მან შექმნა შემდეგი სახეები: ვარია – თევდორე კნორეს „შეხვედრა ბნელში“, ლარისა – ალექსანდრ ოსტროვსკის „უმზითვო“, ძიძია – სანდრო შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა“ (ალექსანდრე ყაზბეგის მიხედვით), ციცინო – გიორგი ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ“, პირიმზისა და პირიმთვარისა – აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“, საპატერა – გარსია ლორკას „მეჩექმის ჯადოქარი ქალი“.

1946 წლიდან მარინა თბილელი კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობია. მიუხედავად იმისა, რომ ეს თეატრი ბრწყინავდა უნიჭიერეს ქართველ მსახიობთა პლეადით, მან მაინც დაიკავა ღირსეული ადგილი მარჯანიშვილელთა შემოქმედებით ცხოვრებაში.

სამი ათეული წლის განმავლობაში ამ თეატრის სცენაზე მარინა თბილელმა მრავალი დასამახსოვრებლი სახე შექმნა. მათ შორისაა: ლალი – კარლო კალაძის „ლალი“, ფლორელა – ლოპე დე ვეგას „ცეკვის მასწავლებელი“, მარინე ფერაძე – მარიკა ბარათაშვილის „მარინე“, მარია ანტონოვნა – ნიკოლაი გოგოლის „რევიზორი“, ტასიკო – ილო მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“, სუსანა სერგეევნა – ალექსანდრ ოსტროვსკის „ლამაზი მამაკაცი“, ნანა – რეზო ებრალიძის „ნანა“, ლედი ანა – უილიამ შექსპირის „რიჩარდ III“, კნეინა ჩიტუნია – შალვა დადიანის „გუშინდელნი“, კეკელა ხუხლიაშვილი – ავქსენტი ცაგარელის, აკაკი წერეთლისა და ქაქუცა ბახუტაშვილის „ძველი ვოდევილები“ (რეჟისორი ვასო გოძიაშვილი), კატერინა – ალექსანდრ კორნეიჩუკის „ხსოვნა გულისა“, დომნა პანტელეევნა – ალექსანდრ ოსტროვსკის „ტალანტები და თაყვანისმცემლები“ და სხვა.

მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, მარინა თბილელი არ შეუშინდა ახალ გამოწვევას – 1974 წლიდან, 30 წლის შემდეგ იგი კვლავ შ. რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობია. აქედან დაიწყო მისი ტრიუმფალური სვლა მთელ მსოფლიოში რობერტ სტურუას მიერ დადგმული სპექტაკლებით „კავკასიური ცარცის წრე“ და „რიჩარდ III“. ნათელა აბაშვილის როლით მან შემოიარა მაშინდელი გერმანიის ფედერაციული და დემოკრატიულ რესპუბლიკები, მექსიკა, იუგოსლავია, შოტლანდია, ინგლისი, საბერძნეთი, იტალია, შვეიცარია, საფრანგეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, ავსტრალია, არგენტინა.

შ. რუსთაველის სახელობის თეატრში მარინა თბილელის მიერ განხორციელებული როლებია: ნათელა აბაშვილი – ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“, ეკონომისტი მილენინა – ალექსანდრ გელმანის „დასაწყისი“, ვიოლეტა ნიუკინა – ალექსანდრ გელმანის „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი“, იორკის მთავრის მეუღლე – უილიამ შექსპირის „რიჩარდ III“, ვენერა ხურციძე – ალექსანდრე ჩხაიძის „სამიდან ექვსამდე“.

არც კინოხელოვნება დარჩენილა მარინა თბილელის ნიჭიერებისადმი გულგრილი. იწვევდნენ გადასაღებად როგორც კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, აგრეთვე „არმენფილმსა“ და „მოსფილმში“. კინოში შესრულებული როლებია: ფატიმა – ლეო ესაკიას „ბაში-აჩუკი“ (აკაკი წერეთლის რომანის მიხედვით), როზალინა – მხატვრული ფილმი „პატიოსნებისათვის“ (ერევნის კინოსტუდია), ბუბუსია – ნიკოლოზ სანიშვილის „აბეზარა“, მართა – ნიკოლოზ სანიშვილის „ქალის ტვირთი“ (მიხეილ ჯავახიშვილის რომანის მიხედვით), ვარია – მხატვრული ფილმი „თორმეტი თანამგზავრი“ (ერევნის კინოსტუდია), ანა – შალვა მარტაშვილის „თხუნელა“, ალისა – ნიკოლოზ სანიშვილის „თოჯინები იცინიან“, ექიმის მეუღლე – ნანა მჭედლიძის „დიდედები და შვილიშვილები“, მაკო – თენგიზ გოშაძის „წყალდიდობა“, ხამფერა – მხატვრული ფილმი „ხათაბალა“ (ერევნის კინოსტუდია), სკოლის დირექტორი – ლანა ღოღობერიძის „როცა აყვავადა ნუში“, მარო – ლანა ღოღობერიძის „აურზაური სალხინეთში“, თაშნაურა – ლევან და ბუბა ხოტივარების „ჩირიკი და ჩიკოტელა“ (რეზო ინანიშვილის მოთხრობის მიხედვით), ინტერნატის დირექტორი – დავით კობახიძის „სევდიანი საყვირი“, ანა – მხატვრული ფილმი „ურისკოდ“ („მოსფილმი“) და სხვა.

მარინა თბილელს 1952 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული, ხოლო 1966 წელს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება. ორჯერ აქვს მიღებული საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის: ლარისა – ალექსანდრ ოსტროვსკის „უმზითვო“ (სოხუმის სახელმწიფო თეატრი. 1975 წ.) და მილენინა – ალექსანდრ გელმანის „დასაწყისი“ (შ. რუსთაველის სახელობის თეატრი. 1975 წ.).

დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ 1950 წელს, საპატიო ნიშნის ორდენით 1958 წელს, ღირსების ორდენით 1970 წელს და სხვ. 1972 წელს აღინიშნა მარინა თბილელის დაბადებიდან 50 და სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავის იუბილე.

გარდაიცვალა 2002 წლის 23 მარტს. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მარინა თბილელის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ამონაწერი ბრძანებიდან №3 – მარინა დომბროვსკაიას სტუდიაში ჩარიცხვის შესახებ.
1937 წ. 5 სექტემბერი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

2. ამონაწერი ბრძანებიდან №6 მარინა დომბროვსკაიას სტუდიიდან დათხოვნის შესახებ.
1937 წ. 21 სექტემბერი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

3. მარინა თბილელის განცხადება საქართველოს „მუსიკ-ჰოლის“ საესტრადო სტუდიის დირექტორისადმი, ლიტერატურულ დარგზე ჩარიცხვის შესახებ.
1937 წ. 13 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

4. მარინა თბილელი-დომბროვსკაიას კინომსახიობთა სასწავლებლის მოწმობა.
1938 წ. სტამბური. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

5. მარინა თბილელის შრომის წიგნაკი
1941 წ. სტამბური. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 36 გვ.

6. მარინა თბილელის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი
1954 წ. ავტოგრაფი. სტამბური. ფოტოსურათი. ავტოკალამი. 4 გვ.

7. მარინა თბილელის დახასიათება, გაცემული კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მიერ.
1954 წ. მაისი. ბლანკი. ხელს აწერენ: თეატრის დირექტორი – ივ. გვინჩიძე, მთავარი რეჟისორი – ვ. ტაბლიაშვილი. ბეჭედდასმული. ნაბეჭდი. 1 გვ.

8. საქართველოს სსრ სახალხო არტისტის მარინა სტანისლავის ასული თბილელის საპატიო სიგელი, სპექტაკლ „ძველი ვოდევილების“ მე-100 წარმოდგენასთან დაკავშირებით. ხელს აწერენ: საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე დ. ანთაძე
1971 წ. ქ. თბილისი. 17 ნოემბერი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

9. აფხაზეთის კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელი მარინა თბილელისადმი, დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით. ხელს აწერს აფხაზეთის კულტურის მინისტრი ნ. კიუტი.
1972 წ. ნაბეჭდი. სტამბური. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.

10. მარინა თბილელის სარეკომენდაციო დახასიათება, გაცემული კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის პარტიული ორგანიზაციის მიერ. ხელს აწერს: თეატრის პარტბიუროს მდივანი ვ. ტატიშვილი.
1973 წ. 14 ივნისი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

11. მარინა თბილელი-დომბროვსკაიას აკადემიური დახასიათება, გაცემული შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის მიერ. ხელს აწერს ვ. გურგენიძე, შემსრულებელი ნ. ქიქოძე.
1975 წ. 23 იანვარი. ნაბეჭდი. ბლანკი. ბეჭედდასმული. საარქივო ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

12. საქართველოს სსრ სახალხო არტისტ მარინა სტანისლავის ასული თბილელის საპატიო სიგელი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლში, ალექსანდრ გელმანის „დასაწყისი“ ეკონომისტის როლის შესრულებისათვის.
1976 წ. 27 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. სტამბური. 1 ც.

13. მარინა თბილელის დახასიათება, გაცემული შ. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მიერ. ხელს აწერენ: რუსთაველის თეატრის დერექტორი – აკაკი ბაქრაძე, პარტბიუროს მდივანი – ეროსი მანჯგალაძე, ადგილკომის თავმჯდომარე – ჯემალ ღაღანიძე.
1977 წ. 21 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ბლანკი. 2 გვ.

14. მარინა თბილელის საქართველოს თეატრალური საზოგადოების საწევრო ბილეთი.
1978 წ. 1 მარტი. ხელნაწერი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

15. მარინა თბილელის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მოწმობა.
1988 წ. ხელნაწერი. სტამბური. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

16. მარინა თბილელის საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრის მოწმობა.
1982 წ. 10 მაისი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.

17. მარინა თბილელის ანკეტა. ახლავს მსახიობის ავტობიოგრაფია.
1989 წ. 12 თებერვალი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 7 გვ.

18. მარინა თბილელის საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრის მოწმობა.
1992 წ. 29 ივნისი. ხელნაწერი. სტამბური. ბეჭედდასმული. 1 ც.

19. მარინა თბილელის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის მოწმობა.
1993 წ. 14 დეკემბერი. ხელნაწერი. სტამბური. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

20. მარინა თბილელის საპატიო სიგელი, გაცემული საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის მიერ. ხელს აწერს საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე – ვ. კანდინაშვილი.
2000 წ. 25 ოქტომბერი. ნაბეჭდი. სტამბური. ბეჭედდასმული. 1 ც.

21. მარინა თბილელი-დვალიშვილის გარდაცვალების ამონაწერი სარეგისტრაციო წიგნიდან. ხელს აწერს ლ. ჩანადირი.
2002 წ. 26 მარტი. ხელნაწერი. სტამბური. ბეჭედდასმული. 1 გვ.

22. თბილისის პრემიერის გ. შერაძის განკარგულება მარინა თბილელის საცხოვრებელი სახლის ფასადზე მემორიალური დაფის დადგმის შესახებ. ხელს აწერს გ. შერაძე
პირი: სოლომონ შარაშენიძე, მუხრან მდივანი.
2002 წ. 20 მაისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

23. მარინა დომბროვსკაია-თბილელის ადმინისტრაციული ხასიათის დოკუმენტი.
პირი: ივანე ჯავახიშვილი, დ. აბაშიძე, დ. შაიშმელაშვილი, გ. ბეჟუაშვილი, ყაბანაშვილი.
(?) 19 სექტემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ. ასლი.

24. მარინა თბილელის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი. ხელს აწერს მ. თბილელი-დომბროვ-სკაია.
(?) 25 სექტემბერი. მელანი. სტამბური. ავტოგრაფი. ბეჭედდასმული. 4 გვ.

25. მარინა თბილელის ავტობიოგრაფია. ხელს აწერს მარინა თბილელი (დომბროვსკაია)
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

26. მარინა თბილელის საკვალიფიკაციო ფურცელი. ხელს აწერს მ. თბილელი.
უთარიღო. ავტოკალამი. სტამბური. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. 4 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

27. მარინა თბილელის წერილი აკაკი კვანტალიანის შესახებ, სპექტაკლებში „ცოცხალი პორტრეტი“ და „ძია ბაღდასარი“ განხორციელებულ როლებთან დაკავშირებით.
პირი: გიორგი ტოვსტონოგოვი, ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, ვასო გოძიაშვილი, გიორგი შავგულიძე, გიგა ლორთქიფანიძე
1982 წ. 22 დეკემბერი. შავი ავტოკალამი. ავტოგრაფი. 5 გვ.

28. მარინა თბილელის ავტობიოგრაფია.
უთარიღო. ავტოკალამი. ავტოგრაფი. 2 გვ.

29. მარინა თბილელის გამოსამშვიდობებელი სიტყვა ვახტანგ ნინუას გარდაცვალებასთან დაკავში-რებით.
1982 წ. ლურჯი ავტოკალამი. ავტოგრაფი. 2 გვ.

30. მარინა თბილელის ანკეტა.
უთარიღო. ნაბეჭდი. 2 გვ.

31. მარინა თბილელის გამოსამშვიდობებელი სამგლოვიარო სიტყვა სესილია თაყაიშვილის გარდა-ცვალებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ლურჯი ავტოკალამი. ავტოგრაფი. 3 გვ.

32. მარინა თბილელის წერილი „ხსოვნა გულისა“, გიგა ლორთქიფანიძის კ. მარჯანიშვილის სახელო-ბის თეატრში მისვლისა და მის მიერ დადგმული სპექტაკლების: ს. კლდიაშვილის „დაბრუნება“ და მორეტოს „ცოცხალი პორტრეტი“ შესახებ.
პირი: ვასო ყუშიტაშვილი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, ლილი იოსელიანი, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, შალვა ღამბაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი კვანტალიანი, სესილია თაყაიშვილი, გიორგი შავგულიძე, ივანე გვინჩიძე, მედეა ჯაფარიძე, შალვა აფხაიძე, ცეცილია წუწუნავა.
უთარიღო. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. ლურჯი ავტოკალამი. 4 გვ.

33. მარინა თბილელის წერილი ვასო ყუშიტაშვილის შესახებ, რეჟისორის მოღვაწეობასა და კ. მარ-ჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე ჩატარებულ რეპეტიციებთან დაკავშირებით.

პირი: ვერიკო ანჯაფარიძე, შარლ დიულენი, ბარსაკი.
უთარიღო. ნაბეჭდი. 2 გვ.

34. ქალთა საერთაშორისო დღის – 8 მარტის აღსანიშნავად მარინა თბილელის რადიოთი მისალმების ტექსტი.
უთარიღო. ავტოგრაფი. ლურჯი ავტოკალამი. 3 გვ.

35. მარინა თბილელის მიერ თეატრსა და კინოში შესრულებული როლების სია.
უთარიღო. ნაბეჭდი. 8 გვ.

36. მარინა თბილელის გასტროლებისა და ტურისტული მოგზაურობის სია (1966-1989 წწ.).
უთარიღო. ავტოგრაფი. შავი და ლურჯი ავტოკალამი. 5 გვ.

ჩანაწერები

37. მარინა თბილელის ჩანაწერები, შ. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის გასტროლების შესახებ ლენინგრადში.
პირი: რობერტ სტურუა, ნოდარ დუმბაძე, გოგი მესხიშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, ნანული სარაჯიშვილი, დავით პაპუაშვილი, გიორგი ტოვსტონოგოვი, ევგენი ლებედევი, რუბენ აგამირზიანი, ვერა კომისარჟევსკაია, ნ. ელისეევა, კუზნეცოვი, კიტაევი.
1982 წ. 25 ნოემბერი. ლურჯი ავტოკალამი. ავტოგრაფი. ღია ბარათი, რუსულ ენაზე. 1 ც.

38. მარინა თბილელის ჩანაწერები, შ. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის გასტროლების შესახებ მექსიკაში.
პირი: რობერტ სტურუა, მირიან შველიძე, რამაზ ჩხიკვაძე, გია ყანჩელი, ლეონარდ ბერნშტეინი, ლია ჯლანტიაშვილი, ვანო ცაგარეიშვილი, ოგიუსტ როდენი, კატუშა გულიევა, ჟორა ოგანოვი, გოგი ლაფაჩი, თამარ ლორთქიფანიძე, ჟორა შერმაზანოვი, გურამ კვაღანიძე, ვალერიან არუთინოვი, შელმა ანსირა, კარლოს ანსირა, ენრიკე რუალიას ესპინოზა, სერგეევი (სსრკ-ის ელჩი მექსიკაში).
1982 წ. ლურჯი ავტოკალამი. ავტოგრაფი. 14 გვ. ბუკლეტი. 3 ც.

39. მარინა თბილელის ჩანაწერები – „გასტროლები შორეულ აღმოსავლეთში“.
პირი: რობერტ სტურუა, შალვა ნადიბაიძე, ალექსი ძაძამია, ადა ნებიერიძე.
1982 წ. ლურჯი ავტოკალამი. 13 გვ.

40. მარინა თბილელის ჩანაწერები „ლვოვი-თბილისი: მეგობრობის გზაჯვარედინი“, 1972 წელს ლვოვის მ. ზანკოვეცკაიას სახელობის დრამატული თეატრის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით ალექსანდრ კორნეიჩუკის პიესაში „ხსოვნა გულისა“ მონაწილეობის შესახებ.
პირი: ბოგდან ზავადკა, დიმიტრი ალექსიძე, რობერტ სტურუა, მარინა კორნეიჩუკი (ახლავს საგასტროლო პროგრამები: ალექსანდრე ჩხაიძის „სამიდან ექვსამდე“, ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“, უილიამ შექსპირის „რიჩარდ III“).
1982 წ. ლურჯი ავტოკალამი. ავტოგრაფი. რუსულ და უკრაინულ ენებზე. 3 გვ. პროგრამა. სტამბური. 3 ც.

41. მარინა თბილელის ჩანაწერები შ. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის გასტროლების შესახებ ბულგარეთში.

პირი: ფიოდორ და ლუდმილა ჟოვკოვები.
1983 წ. ლურჯი ავტოკალამი. ავტოგრაფი. 7 გვ. პროგრამა. 1 ც.

42. მარინა თბილელის ჩანაწერები შ. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის გასტროლების შესახებ პოლონეთში.
პირი: რობერტ სტურუა, გია ყანჩელი, რამაზ ჩხიკვაძე, მირიან შველიძე, გოგი მესხიშვილი, ნოდარ გურაბანიძე.
1983 წ. ლურჯი ავტოკალამი. ავტოგრაფი. 8 გვ.

43. მარინა თბილელის ჩანაწერები შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის გასტროლების შესახებ ავსტრალიაში.
1986 წ. შავი ავტოკალამი. ავტოგრაფი. 4 გვ. ბუკლეტი. 2 ც.

44. მარინა თბილელის ჩანაწერები დრაგუტინ დობრიჩანინის არაჩვეულებრივ სპექტაკლზე – „სამი ბულბულის ქუჩა №17“.
პირი: გულბათ დავითაშვილი, აკაკი კვანტალიანი, მერაბ თაბუკაშვილი, არჩილ ჩორგოლაშვილი, გენრიეტა ლეჟავა, ანზორ ქუთათელაძე, გურამ მაცხონაშვილი, ირინა შტენბერგი.
1993 წ. 16 აპრილი. ავტოგრაფი. ლურჯი ავტოკალამი. 8 გვ.

45. მარინა თბილელის ჩანაწერები – „Театр не может жить без зритея" („თეატრი წარმოუდგენელია მაყურებლის გარეშე“).
უთარიღო. ლურჯი ავტოკალამი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

46. მარინა თბილელის ჩანაწერები სპექტაკლზე გიორგი შატბერაშვილის „უცნობი ქალი“.
პირი: ვ. ტაბლიაშვილი, პ. კობახიძე, გ. შავგულიძე
უთარიღო. მელანი. ფანქარი. ავტოგრაფი. 10 გვ.

47. მარინა თბილელის ჩანაწერები „მსახიობის ღვთით ნაბოძები ნიჭის შესახებ“.
უთარიღო. ლურჯი კალამი. ავტოგრაფი. 2 გვ.

მარინა თბილელის დაბადების 50 და სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებული მასალა

48. სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივის მისალოცი ადრესი მარინა თბილელისადმი, დაბადების 50 და სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით.
1971 წ. 15 მარტი. სოხუმი. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

49. სოხუმის კულტურის მუშაკთა მისალოცი ადრესი მარინა თბილელისადმი, დაბადების 50 და სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით.
1971 წ. სოხუმი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 გვ.

50. სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივის მისალოცი ადრესი მარინა თბილელისადმი, დაბადების 50 და სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით.
1971 წ. ხელნაწერი. ტუში. 1 გვ.

51. შ. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის კოლექტივის მილოცვა მარინა თბილელისადმი, დაბადების 50 და სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
ხელს აწერენ: გ. გაბუნია, გ. თალაკვაძე, კ. კავსაძე, ეკ. ვაჩნაძე, გ. გეგეჭკორი, ჯ. ღაღანიძე, რ. გოგნიაშვილი, ე. სახლთხუცესი, ბ. კობახიძე, დ. პაპუაშვილი, ნ. მარგველაშვილი, დ. სუმბათაშვილი, გ. საღარაძე, ს. ყანჩელი, ერ. მანჯგალაძე, რ. ჩხაიძე, გ. ბაქრაძე, მ. მაღლაკელიძე, დ. მაცაბერიძე, გ. ხარაბაძე, რ. სტურუა, ნ. ხატისკაცი, მ. ჯაფარიძე, ვ. გაბისიანი, რ. ჩხიკვაძე.
1971-1972 წწ. ნაბეჭდი. 2 გვ.

52. თელავის ინტელიგენციის მილოცვა მარინა თბილელისადმი, დაბადების 50 და სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით
პირი: ლადო ასათიანი.
1972 წ. ხელნაწერი. მელანი. 5 გვ.

53. თელავის რაიონის წინანდლის ღვინის ქარხანათა სამმართველოს კოლექტივის მილოცვა მარინა თბილელისადმი, მსახიობის დაბადების 50 და სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით
1972 წ. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

54. თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტების სახელით მარინა ჯიშკარიანის მილოცვა მარინა თბილელისადმი, დაბადების 50 და სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით
1972 წ. ხელნაწერი. ლურჯი ავტოკალამი. 3 გვ.

მარინა თბილელის მოგონებები

55. მარინა თბილელის მოგონება „თეატრში მისვლა და პირველი ნაბიჯები“.
უთარიღო. ავტოგრაფი. მწვანე კალამი. ქართულ ენაზე. 22 გვ.

56. მარინა თბილელის მოგონება კითხვაზე „როლი, რომელიც თქვენთვის ყველაზე ძვირფასია“, 30 წლის განმავლობაში განსახიერებული როლებიდან.
პირი: ვ. ანჯაფარიძე, ვ. გოძიაშვილი, შ. აღსაბაძე, ც. წუწუნავა, გ. შავგულიძე, შ. გომელაური, ს. თაყაიშვილი, პ. კობახიძე, ს. კიკნაძე, მ. მრევლიშვილი, დ. ჯანელიძე, ი. გრიშაშვილი.
1970 წ. ავტოგრაფი. ავტოკალამი. 7 გვ.

57. მარინა თბილელის მოგონება სპექტაკლ „მეფე ერეკლეს“ შესახებ
პირი: ვახტანგ ტაბლიაშვილი, არჩილ კერესელიძე, სერგო ზაქარიაძე, ჟოზეფ სუმბათაშვილი.
უთარიღო. ავტოგრაფი. ლურჯი ავტოკალამი. 6 გვ.

58. მარინა თბილელის მოგონება სპექტაკლ „მეფე ერეკლეს“ შესახებ
პირი: გიორგი შავგულიძე, ვახტანგ ტაბლიაშვილი, არჩილ კერესელიძე, ჟოზეფ სუმბათაშვილი.
უთარიღო. ლურჯი ავტოკალამი. ავტოგრაფი. 17 გვ.

59. მარინა თბილელის მოგონება – „პირველი რეპეტიცია რუსთაველის თეატრის სცენაზე“.
პირი: გივი კვაჭაძე, რობერტ სტურუა
უთარიღო. ავტოგრაფი. ლურჯი ავტოკალამი. 2 გვ.

60. მარინა თბილელის მოგონება სანდრო ჟორჟოლიანის შესახებ.
პირი: გ. შავგულიძე, აკ. კვანტალიანი, ვ. გოძიაშვილი, ვ. ანჯაფარიძე, გ. ლორთქიფანიძე, არ. ჩხარტიშვილი, შ. ჭანუყვაძე.
უთარიღო. მწვანე კალამი, 10 გვ.

61. მარინა თბილელის მოგონება გიორგი შავგულიძეზე.
პირი: ლადო შავგულიძე, გიგა ლორთქიფანიძე.
უთარიღო. ავტოგრაფი. ლურჯი ავტოკალამი. 14 გვ.

62. მარინა თბილელის მოგონება გიორგი შავგულიძეზე, სპექტაკლების: „მეფე ერეკლე“, „კოლმეურნის ქორწინება“, „სანაპიროზე“, „რევიზორი“, „უცნობი ქალი“, „ცოცხალი პორტრეტი“, „ანტონიუსი და კლეოპატრა“ შესახებ.
პირი: ვახტანგ ტაბლიაშვილი, ვასო გოძიაშვილი, შალვა ღამბაშიძე, ბესიკ გაბაშვილი, სერგო ზაქარიაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვახტანგ ჯახუტაშვილი, გრიგოლ ბერძენიშვილი, ლადო გუდიაშვილი, არჩილ კერესელიძე.
უთარიღო. ავტოგრაფი. შავი ავტოკალამი. 15 გვ.

63. მარინა თბილელის მოგონებები ვასო გოძიაშვილზე (სპექტაკლი „ძველი ვოდევილები“).
უთარიღო. ლურჯი ავტოკალამი. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. 47 გვ.

64. მარინა თბილელის მოგონებები ვასო გოძიაშვილზე, პირველი შეხვედრის და 1936 წელს ფილარმონიის ბაღში ესტრადაზე გამოსვლასთან დაკავშირებით.
პირი: ა. ფაღავა, კ. მარჯანიშვილი, ე. გუგუშვილი, ვ. შავერზაშვილი, გ. ღვინიაშვილი, ა. კერესელიძე, თ. წერეთელი, ქ. ჯაფარიძე, ლ. უტიოსოვი, კ. შულჟენკო, ტუკარსკაია, ო. ნოვიცკი.
უთარიღო. ავტოგრაფი. შავი ავტოკალამი. რუსულ ენაზე. 9 გვ.

65. მარინა თბილელის მოგონებები სესილია თაყაიშვილზე, სპექტაკლების: „მარგარიტა გოტიე“, „კოლმეურნის ქორწინება“, „ალანის ოჯახი“, „მარიამ სტიუარტი“; კინოფილმების: „ნატვრის ხე“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონისა“ და გიორგი შავგულიძის ტრაგიკული დაღუპვის შესახებ.
პირი: ლ. შატბერაშვილი, ს. ჟორჟოლიანი, შ. ღამბაშიძე, გ. შავგულიძე, თ. აბულაძე. უ თ ა - რიღო. ავტოგრაფი. ლურჯი ავტოკალამი. 32 გვ.

66. მარინა თბილელის მოგონება ეროსი მანჯგალაძის შესახებ
პირი: რობერტ სტურუა, დავით გარეჯელი.
უთარიღო. ავტოგრაფი. ლურჯი ავტოკალამი. 3 გვ.

67. მარინა თბილელის მოგონებები იპოლიტე ხვიჩიაზე, კინოფილმების „თხუნელასა“ და „თოჯინები იცინიან“ გადაღების მომენტების შესახებ
პირი: ნიკოლოზ სანიშვილი, ალექსანდრე ჟორჟოლიანი, ემანუელ აფხაიძე, აკაკი კვანტალიანი, სესილია თაყაიშვილი.
უთარიღო. ავტოგრაფი. ლურჯი ავტოკალამი. 10 გვ.

68. მარინა თბილელის მოგონება „დირიჟორი თეატრში“, სპექტაკლის „ცეკვის მასწავლებელი“ შესახებ (ეძღვნება არჩილ ჩორგოლაშვილის ხსოვნას).
პირი: გ. ღვინიაშვილი, ვ. გოძიაშვილი, აკ. კვანტალიანი, ვ. შუხაევი, ვ. ანჯაფარიძე.
უთარიღო. ავტოგრაფი. არასრული. ლურჯი ავტოკალამი. 2 გვ.

69. მარინა თბილელის მოგონება – „აკაკი ფაღავას ხსოვნას“.
პირი: ვ. გოძიაშვილი, ს. თაყაიშვილი, თ. წულუკიძე, პ. კობახიძე, მ. მრევლიშვილი, პ. მურღულია.
უთარიღო. ავტოგრაფი. დაუსრულებელი. ლურჯი ავტოკალამი. 9 გვ.

70. მარინა თბილელის მოგონება რადიოგადაცემისთვის, თავისი შემოქმედების შესახებ.
პირი: ლია ძიძიგური, აკაკი ვასაძე, ლეო ჭედია, მიხეილ ჩუბინიძე, თამარ შაქარაშვილი, ტარასი ხორავა, ნიკოლოზ მიქაშავიძე, აკაკი ბოკუჩავა, რობერტ სტურუა, ვასო გოძიაშვილი, სესილია თაყაიშვილი, გიორგი შავგულიძე, აკაკი კვანტალიანი, ვერიკო ანჯაფარიძე, სერგო ზაქარიაძე, შალვა ღამბაშიძე, ცეცილია წუწუნავა, სანდრო ჟორჟოლიანი, მედეა ჯაფარიძე, იაკობ ტრიპოლსკი, ელენე ყიფშიძე, ტარიელ საყვარელიძე, გიორგი ტატიშვილი, ნინო ჩხეიძე.
1978 წ. 4 დეკემბერი. ავტოგრაფი. ავტოკალამი. 4 გვ.

71. მარინა თბილელის მოგონება ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავად კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში გამართული ზეიმისა და კონცერტის შესახებ.
პირი: ვასო გოძიაშვილი, ევგენია აგაბეკოვა, სესილია თაყაიშვილი, სანდრო ჟორჟოლიანი, აკაკი კვანტალიანი, შაქრო გომელაური, მერი შილდელი, გოგი ცაბაძე, შალვა ღამბაშიძე, რაფაელ პაპოვიანი.
უთარიღო. ავტოგრაფი. არასრული. ლურჯი ავტოკალამი. 2 გვ.

72. მარინა თბილელის მოგონება – „სტუმრად უშანგი ჩხეიძესთან“.
უთარიღო. ლურჯი ავტოკალამი. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. 14 გვ.

მოგონებები მარინა თბილელზე

73. მზია მაღლაკელიძის მოგონება მარინა თბილელზე „მოსკოვი. გასტროლები. 1980 წლის სექტემბერის თვე“.
პირი: ინოკენტი სმოკტუნოვსკი.
1984 წ. 9 თებერვალი. ლურჯი ავტოკალამი. ავტოგრაფი. 5 გვ.

74. ვახტანგ ტაბლიაშვილის მოგონება მარინა თბილელზე – „მარინა თბილელს ვადღეგრძელებ“ – შექსპირის „რომეო და ჯულიეტასა“ და მარინა თბილელის მონაწილეობით დადგმული სპექტაკლების შესახებ.
პირი: სესილია თაყაიშვილი, ალექსანდრე გომელაური, მედეა ჯაფარიძე, შოთა ქოჩორაძე, ანდრო კობალაძე, იაკობ ტრიპოლსკი, ედიშერ მაღალაშვილი.
1985 წ. ხელნაწერი. მელანი. არასრული. 1 გვ. ნაბეჭდი. 2 გვ.

75. ნინო ჩხეიძის მოგონება მარინა თბილელსა და მის შემოქმედებაზე.
პირი: მ. გეგია, ლ. დოღონაძე, გ. ჯაოშვილი, ვ. დოლიძე, აკ. ხორავა, ბ. ზაქარიაძე, აკ. ვასაძე, ვ. ტაბლიაშვილი, ვ. ყუშიტაშვილი, არ. ჩხარტიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, გ. ჟურული, მ. სულიაშვილი, მ. ჭიაურელი, დ. ალექსიძე, დ. მაჭავარიანი, ს. ზაქარიაძე, ვ. ანჯაფარიძე, ს. თაყაიშვილი, ვ. გოძიაშვილი, შ. ღამბაშიძე, ე. ჩერქეზიშვილი, გ. შავგულიძე, ნ. ვაჩნაძე, თ. ჩარკვიანი, ც. წუწუნავა, მ. დავითაშვილი, ბ. გამრეკელი, მ. ქორელი, თ. დონჯაშვილი, ალ. ომიაძე, აკ. კვანტალიანი, ჭ. ბეგალიშვილი, დონურები, გომელაურები, ტ. აბაშიძე, შ. ჯაფარიძე, ს. რამიშვილი, გრ. კოსტავა, ლ. ანთაძე, გ. ლორთქიფანიძე, ივ. გვინჩიძე, მ. სარაული, ს. ჟორჟოლიანი, გ. გოცირელი, პ. კობახიძე, ქს. დოლიძე, დ. თოდრია, გ. კობიაშვილი, ი. ტრიპოლსკი, ტ. საყვარელიძე, ე. მაღალაშვილი, ლ. ყიფშიძე, მ. მახვილაძე, ნ. მიქელაძე, თ. თეთრაძე, ვ. სულაქველიძე, ს. ჭიაუ-

რელი, ი. გედევანიშვილი, ს. ყანჩელი, მ. ჯაფარიძე, შ. ქოჩორაძე, კ. მახარაძე, ა. ვერულაშვილი, ვ. ნინუა, ლ. შოთაძე, დ. ჭიჭინაძე, გ. გელოვანი, თ. ციციშვილი, ზ. ლაფერაძე, ზ. ლეჟავა, თ. სხირტლაძე, ჯ. მონიავა, გ. ტატიშვილი, გ. ფირცხალავა, თ. მაისურაძე, ო. მეღვინეთუხუცესი, ნ. მგალობლიშვილი, თ. არჩვაძე.
1966 წ. თებერვალი. ხელნაწერი. ქსეროასლი. 11 გვ.

76. სამსონ სულაკაურის მოგონება მარინა თბილელზე – „როგორ ვიპოვე მარინა თბილელი“.
პირი: დ. ალექსიძე, ნ. შიუკაშვილი, ვ. ჟღენტი, , აკ. ფაღავა, გ. ტოვსტონოგოვი, თ. ბეგიაშვილი, ს. შანშიაშვილი, მ. მდივანი, აკ. ხორავა. ხელს აწერს – ს. სულაკაური.
უთარიღო. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. ავტოკალამი. 16 გვ.

77. გ. ლორთქიფანიძის მოგონება „ძვირფასი განძი“, მარინა თბილელის შემოქმედებასა და პროფესიონალიზმზე (ნაწერს აკლია ბოლო ნაწილი)
პირი: მიხეილ ჩუბინიძე, ლეო ჭედია, თამარ მაქარაშვილი, ტარასი ხორავა, ნიკოლოზ მიქაშავიძე, სერგო ზაქარიაძე, შალვა ღამბაშიძე, აკაკი კვანტალიანი, ალექსანდრე ჟორჟოლიანი, იაკობ ტრიპოლსკი, მედეა ჯაფარიძე, თამარ თეთრაძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე
უთარიღო. ნაბეჭდი. 3 გვ.

78. ვასო გოძიაშვილის მოგონება მარინა თბილელზე, მისი პროფესიონალიზმისა და შ. რუსთაველის სახელობის თეატრში პირველად მისვლის შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. ფანქარი. მანქანაზე ნაბეჭდი. 10 გვ.

79. დავით მაჭავარიანის მოგონება მარინა თბილელზე, მის მიერ ნათამაშები როლების შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. ავტოკალამი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 14 გვ.

ეპისტოლარული მემკვიდრეობა

მარინა თბილელის წერილები

80. მარინა თბილელის წერილი მედეა ჯაფარიძისადმი, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ვახტანგ ტაბლიაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლის „რომეო და ჯულიეტას“ შესახებ.
პირი: სესილია თაყაიშვილი, შოთა ქოჩორაძე.
1985 წ. 20 თებერვალი. ავტოგრაფი. ლურჯი ავტოკალამი. 3 გვ.

81. მარინა თბილელის წერილი ალექსანდრ ევდოკიმოვიჩისადმი (გვარი მითითებული არ არის), კატერინას როლთან დაკავშირებით.
პირი: დანიელ დადიანი.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

წერილები მარინა თბილელისადმი

82. ეკატერინე შიუკაშვილის (მარინა თბილელის თელავის სკოლის მასწავლებელი) წერილი მარინა თბილელისადმი, თელავის სკოლაში დადგმულ საბავშვო სპექტაკლების შესახებ.
პირი: თამარ და ნიკო შიუკაშვილები, ალექსი კუპატაძე.
1953 წ. 2 იანვარი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ავტოკალამი. ავტოგრაფი. 9 გვ.

83. ეკატერინე შიუკაშვილის (მარინა თბილელის თელავის სკოლის მასწავლებელი) პირადი ხასიათის წერილი მარინა თბილელისადმი.
პირი: შალვა კიკვიძე.
1953 წ. 12 მარტი. თელავი. მელანი. ავტოგრაფი. 2 გვ.

84. ეკატერინე შიუკაშვილის (მარინა თბილელის თელავის სკოლის მასწავლებელი) წერილი მარინა თბილელისადმი, მუსიკალური სკოლის დირექტორად შალვა კიკვიძის დანიშვნის შესახებ.
პირი: დავით კასრაძე.
1953 წ. 14 აპრილი. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე, მელანი. 7 გვ.

85. ვიქტორ ნინიძის მისალოცი წერილი მარინა თბილელისადმი, ხელოვნების მუშაკის საპატიო წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
1955 წ. 5 მარტი. მელანი. ავტოგრაფი. 2 გვ.

86. აკაკი ფაღავას მისალოცი წერილი მარინა თბილელისადმი, ხელოვნების მუშაკის საპატიო წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით. ხელს აწერს – აკაკი ფაღავა.
1955 წ. ავტოკალამი. ავტოგრაფი. 1 გვ.

87. ირინა შტენბერგის 8 მარტის მისალოცი წერილი მარინა თბილელისადმი. ასევე ულოცავს სახალხო არტისტის წოდების მინიჭებას.
პირი: დინარა ნოდია, თენგიზ სამსონაძე.
1966 წ. 1 მარტი. ავტოგრაფი. ავტოკალამი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

88. უცნობი პირის პირადი ხასიათის წერილი მარინა თბილელისადმი
1972 წ. 28 ოქტომბერი. ლვოვი. ხელნაწერი. ლურჯი ავტოკალამი. 1 გვ.

89. ვახტანგ ჯახუტაშვილის წერილი მარინა თბილელისადმი, საავადმყოფოში ვასო გოძიაშვილის მონახულებისა და მისი სურვილის, მარინა თბილელის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაბრუნების შესახებ.
1975 წ. 15 დეკემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

90. თამარ სამხარაძის წერილი მარინა თბილელისადმი, შ. რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლ „დასაწყისის“ შესახებ.
1976 წ. ავტოგრაფი. ხაშური. ლურჯი ავტოკალამი. 4 გვ.

91. მარინა კორნეიჩუკის პირადი ხასიათის წერილი მარინა თბილელისადმი.
პირი: რობერტ სტურუა.
1980 წ. დეკემბერი. კიევი. ლურჯი ავტოკალამი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

92. იაკო ლილეორგის წერილი მარინა თბილელისადმი, მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ. ასევე სთხოვს მსახიობს ფოტოსურათის ავტოგრაფით გაგზავნას.
1981 წ. 7 ივნისი. ტალინი. ლურჯი ავტოკალამი. ავტოგრაფი. 2 გვ.

93. ფრიდონ ხალვაშის პირადი ხასიათის წერილი მარინა თბილელისადმი. ხელს აწერს ფრიდონ ხალვაში.
1988 წ. 2 აგვისტო. ბათუმი. შავი ავტოკალამი. ავტოგრაფი. 1 გვ.

94. ნესტორ ჭილაძის დაბადების დღის მისალოცი წერილი მარინა თბილელისადმი.
2000 წ. 25 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

95. მარინა კორნეიჩუკის პირადი ხასიათის წერილი მარინა თბილელისადმი.
პირი: საშა (გვარი მითითებული არ არის).
უთარიღო. შავი მელანი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

96. ლამარა ფირცხალავას პირადი ხასიათის წერილი მარინა თბილელისადმი.
უთარიღო. შავი ავტოკალამი. ავტოგრაფი. 4 გვ.

97. შ. რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივის დაბადების დღის მისალოცი წერილი მარინა თბილელისადმი.
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 გვ.

98. უცნობი პირის დაბადების დღის მისალოცი წერილი მარინა თბილელისადმი.
უთარიღო. შავი ავტოკალამი. დაზიანებული. 2 გვ.

99. უცნობი პირის პირადი ხასიათის წერილი მარინა თბილელისადმი.
უთარიღო. ხელნაწერი. ლურჯი ავტოკალამი. აფხაზურ ენაზე. 2 გვ.

100. აკაკი ფაღავას მისალოცი დეპეშა მარინა თბილელისადმი, მის ბრწყინვალე შემოქმედებით გამარჯვებასთან დაკავშირებით.
1948 წ. ნაბეჭდი. 1 გვ.

101. იოსებ გრიშაშვილის მისალოცი დეპეშა მარინა თბილელისადმი.
1950 წ. თბილისი. ნაბეჭდი. 1 ც.

102. ვიქტორ ნინიძის მისალოცი დეპეშა მარინა თბილელისადმი, საპატიო წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
1955 წ. 5 მარტი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

103. აკაკი ფაღავას მისალოცი დეპეშა მარინა თბილელისადმი, საპატიო სიგელის მინიჭების შესახებ.
1955 წ. 5 მარტი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

104. სერგო კლდიაშვილის მისალოცი დეპეშა მარინა თბილელისადმი. ულოცავს მორიგ შემოქმედებით წარმატებას.
1966 წ. ნაბეჭდი. 1 ც.

105. ლადო გუდიაშვილის მისალოცი დეპეშა მარინა თბილელისადმი, დაბადების 50 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით.
1971 წ. ნაბეჭდი. თბილისი. 1 ც.

106. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირისა და თბილისის კინოსახლის მისალოცი დეპეშა მარინა თბილელისადმი, დაბადების 50 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით.
1971 წ. ნაბეჭდი. ასლი. 13 გვ.

107. საქართველოს დამსახურებული და აფხაზეთის სახალხო არტისტის ნიკოლოზ მიქაშავიძის მისალოცი დეპეშა მარინა თბილელისადმი, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.
1971 წ. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

108. ნელი ეშბას, ეთერ კოღონიას, ივანე თარბას, ივანე გვინჩიძის, ალექსანდრე თაყაიშვილისა და ლევ კულიჯანოვის მისალოცი დეპეშები მარინა თბილელისადმი, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.
1971 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 1 გვ.

109. ეკატერინა სატინასა და კიტა ბუაჩიძის მისალოცი დეპეშები მარინა თბილელისადმი, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.
1971 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 1 გვ.

110. მირონ კიპრიანის დეპეშა დიმიტრი ალექსიძისადმი, მარინა თბილელის წარმატებული გამოსვლის შესახებ.
1972 წ. 29 ოქტომბერი. ლვოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

111. სენჩუკის, კიპრიანის, დანჩენკოს, ანტიკივისა და მაქსიმენკოს დეპეშა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორის დიმიტრი ალექსიძისადმი, თეატრის იუბილეზე მარინა თბილელის წარმატებული გამოსვლის შესახებ.
1972 წ. 2 ნოემბერი. ლვოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

112. ელდარ შენგელაიას დაბადების დღის მისალოცი დეპეშა მარინა თბილელისადმი.
უთარიღო. თბილისი. ნაბეჭდი. 1 ც.

113. მარინა თბილელის პირადი ხასიათის დეპეშა თინა ბოლქვაძისადმი.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

პროგრამები

114. მარინა თბილელის დაბადების 50 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 30 წლის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამოს პროგრამა.
პირი: დ. ალექსიძე, ვ. გოძიაშვილი, ე. ყიფშიძე, ი. ტრიპოლსკი, მ. თაბუკაშვილი, ა. ვერულაშვილი, ლ. ცხვარიაშვილი, გ. ტატიშვილი, ე. თოფურია, ნ. ურუშაძე.
1971 წ. 15 მარტი. სტამბური. 2 ც.

115. შ. რუსთაველის სახელობის თეატრი. ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“. რეჟისორი რ. სტურუა. პროგრამა.
1975 წ. სტამბური. 1 ც.

116. შ. რუსთაველის სახელობის თეატრი. ა. გელმანის „დასაწყისი“. რეჟისორი რ. სტურუა. პროგრამა.
1975 წ. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 ც.

117. შ. რუსთაველის სახელობის თეატრი. ა. გელმანის „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი“. რეჟისორი გ. ანთაძე. პროგრამა.
1979 წ. სტამბური. 1 ც.

118. შ. რუსთაველის სახელობის თეატრი. უილიამ შექსპირის ტრაგედია „ცხოვრება და სიკვდილი მეფე რიჩარდ III-ისა“. რეჟისორი რ. სტურუა. პროგრამა.
1979 წ. სტამბური. 1 ც.

119. შ. რუსთაველის სახელობის თეატრი. ედუარდო დე ფილიპოს „აჩრდილები“. რეჟისორი რ. ჩხაიძე. პროგრამა.
1988 წ. სტამბური. 1 ც.

120. შ. რუსთაველის სახელობის თეატრი. ა. ჩხაიძის „სამიდან ექვსამდე“. რეჟისორი ბ. კობახიძე. პროგრამა.
უთარიღო. სტამბური. 1 ც.

მოსაწვევი და ღია ბარათები

121. რობერტ სტურუას ახალი წლის მისალოცი ბარათი მარინა თბილელისადმი.
1975 წ. ავტოგრაფი. ლურჯი ავტოკალამი. 1 ც.

122. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ახალგაზრდა მსახიობთა: მარინა თბილელის, ანდრო კობალაძის, იაკობ ტრიპოლსკისა და შოთა ქოჩარაძის შემოქმედებითი საღამოს მოსაწვევი ბარათები.
1949 წ. თბილისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. დაზიანებული. 1 ც.

123. მარინა თბილელის დაბადების 50 წლის და შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
პირი: ოთარ ლითანიშვილი.
1971 წ. 15 მარტი. ხელნაწერი. სტამბური. 1 ც.

სხვადასხვა

124. სოხუმის ქართული თეატრის სპექტაკლების რეცენზიები: „ხევისბერი გოჩა“ – გაზეთები „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „საბჭოთა აფხაზეთი“. 1945 წ. 5 ივლისი; „მეწაღის ჯადოქარი ცოლი“ – გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“. №20, 1946 წ. 2 მაისი; „შესაფერისი ჯილდო“ – გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“. 1945 წ. 23 დეკემბერი; „უმზითვო“ – გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“. 1945 წ. 2 ივნისი.
პირი: ბ. გვასალია, გ. ჭინჭარაული, დ. გეგენავა.
1945-1946 წწ. ხელნაწერი. ლურჯი და მწვანე კალამი. 5 გვ.

125. თეატრმცოდნე მარო მოშეკიზის მოხსენება „მარინა თბილელი“, მსახიობის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.
1949 წ. 19 მარტი. ნაბეჭდი. 8 გვ.

126. „მარინა თბილელის ცხოვრება და შემოქმედება“. ავტორი ლამარა მაისურაძე.
პირი: მაკო საფაროვა, ნატო გაბუნია, კოტე მარჯანიშვილი, თამარ ჭავჭავაძე, თამარ შიუკაშვილი, კატო შიუკაშვილი, აკაკი ფაღავა, არჩილ ჩხარტიშვილი, ვახტანგ ტაბლიაშვილი.
1953 წ. 30 მარტი. ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 9 გვ.

127. შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლების რეპერტუარი.
1980 წ. მოსკოვი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

128. ერევნის გ. სუნდუკიანის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივის მისასალმებელი სიტყვა თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივისადმი (სპექტაკლი „სამიდან ექვსამდე“).
1984 წ. ერევანი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 გვ.

129. შ. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის გასტროლები ტომსკის ოლქსა და ტომსკში (რუსთაველის თეატრის მსახიობების ოფიციალური და შემოქმედებითი შეხვედრების განრიგი ტომსკის საზოგადოებასთან).
1984 წ. ივნისი. სტამბური. რუსულ ენაზე. 4 გვ.

130. იურმალის სასტუმრო „მაიორის“ სავიზიტო ბარათი, შევსებული მარინა თბილელი-დვალიშვილის სახელზე.
1984 წ. 9 აგვისტო. იურმალა. ნაბეჭდი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.

131. შ. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის გასტროლები საბჭოთა კავშირის შემდეგ ქალაქებში: ტომსკი (8 ივნისი-3 ივლისი), კრასნოიარსკი (3 ივლისი-22 ივლისი), რიგა (10 აგვისტო-31 აგვისტო).
1984 წ. სტამბური. ბუკლეტი. რუსულ ენაზე. 9 გვ.

132. სასტუმროს სავიზიტო ბარათი. შ. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის გასტროლები არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში.
1987 წ. სტამბური. ესპანურ ენაზე. სტამბური. 1 ც.

133. გიორგი გვახარიას წერილი – „ლადო ქუთათელაძისა და მარინა თბილელის გახსენება“ (წაკითხულ იქნა რადიო „თავისუფლების“ ეთერში ავტორის მიერ).
2002 წ. 1 აპრილი. ნაბეჭდი. 3 გვ.

134. ხათუნა კიკვაძის სტატია – „კალმის წვერი შენს საკადრისს ვერას შემოგვთავაზებს“ – მარინა თბილელის 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
პირი: აკაკი დვალიშვილი, ბაია დვალიშვილი, აკაკი ვასაძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე.
2005 წ. 25 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 4 გვ.

135. ვაჟა ძიგუას ნაშრომი მარინა თბილელის შემოქმედების შესახებ.
პირი: ნატო ვაჩნაძე, თამარ და ეკატერინე შიუკაშვილები, ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, პიერ კობახიძე, შალვა ღამბაშიძე, ვასო გოძიაშვილი, აკაკი ხორავა, თამარ წულუკიძე, აკაკი ვასაძე, სამსონ სულაკაური, დოდო ალექსიძე, ვალენტინ ჟღენტი, მალიკო მრევლიშვილი, გიორგი დავითაშვილი, რუსუდან ბერიძე, პავლენკო.
უთარიღო. ხელნაწერი. შავი მელანი. 25 გვ.

136. ვაჟა ძიგუას სტატია „Мастерство перевоплашения” („გარდასახვის ოსტატობა”), მარინა თბილელის შემოქმედების შესახებ.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 6 გვ.

137. ტარიელ საყვარელიძე მარინა თბილელის სამსახიობო ოსტატობის შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. ლურჯი ავტოკალამი. 2 გვ.

138. სესილია თაყაიშვილი მსახიობ მარინა თბილელის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. ლურჯი ავტოკალამი. 1 გვ.

139. გიორგი ტატიშვილი მარინა თბილელის სამსახიობო მოღვაწეობის შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. ლურჯი ავტოკალამი. 2 გვ.

140. უცნობი ავტორის წერილი მარინა თბილელის შესახებ, მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.
უთარიღო. ნაბეჭდი. 3 გვ

141. თეატრმცოდნე ს. შაშკოს რეცენზია – „Диапазон возможностей профессионалов" („პროფესიონალიზმის დიაპაზონი"), სპექტაკლების „კავკასიური ცარცის წრისა" და „რიჩარდ III-ის" შესახებ.
პირი: ალექსანდრე ახმეტელი, ალექსანდრე კავსაძე, დიმიტრი ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი, გიორგი ტოვსტონოგოვი, რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, რამაზ ჩხიკვაძე, მარინა თბილელი, მედეა ჩახავა, გია ყანჩელი, ჟანრი ლოლაშვილი, გურამ საღარაძე, იზა გიგოშვილი, ჯემალ ღაღანიძე.
უთარიღო. ხელნაწერი. ლურჯი ავტოკალამი. 7 გვ.

142. სცენარი ტელეგადაცემისთვის „მარინა თბილელი".
უთარიღო. ნაბეჭდი. ხელით ჩასწორებული. 4 გვ.

143. სცენარი რადიოგადაცემისთვის „ხუთი წუთი ჩვენს ფონოტეკაში", მარინა თბილელის საუბარი ვახტანგ და ივანე ნინუების შესახებ.
პირი: აკაკი ხინთიბიძე, ვასო გოძიაშვილი, სესილია თაყაიშვილი, სანდრო ჟორჟოლიანი, აკაკი კვანტალიანი, შაქრო გომელაური, მიხეილ ჯაფარიძე, ლევან ჭუბაბრია, რონალდ ჯალაღონია.
უთარიღო. ნაბეჭდი. 2 გვ.

144. მასალები სიღნაღის თეატრისა და ამ თეატრის მსახიობების გოჰარიკ და სერგო ბაშინჯაღოვების შესახებ.
პირი: გიგო ფოცხვერაშვილი.
უთარიღო. ხელნაწერი. ლურჯი ავტოკალამი. 6 გვ.

145. რობერტ სტურუას ჩანახატი, პერსონაჟი სპექტაკლიდან „რიჩარდ III".
უთარიღო. ფანქარი. 1 ც.

146. პიერ კობახიძის ლექსი-ექსპრომტი, მიძღვნილი მარინა თბილელისადმი.
პირი: პ. მურღულია, პ. კანდელაკი.
უთარიღო. ხელნაწერი. ლურჯი ავტოკალამი. 1 გვ.

ლექსები, მიძღვნილი მარინა თბილელისადმი

147. გივი გოგიჩაიშვილის ლექსი „თეკლე-ბიჭს", მიძღვნილი მარინა თბილელისადმი.
1943 წ. 7 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. მელანი. ავტოგრაფი. 2 გვ.

148. ექიმ ვახტანგ ბოჭორიშვილის ლექსი, მიძღვნილი მარინა თბილელისადმი.
1944 წ. სოხუმი. ნაბეჭდი. ტუში. ავტოგრაფი. 2 გვ.

149. მსახიობ გიორგი ტატიშვილის ლექსი – „ტურფა ფლორას“ – მიძღვნილი მარინა თბილელისადმი.
1948 წ. 9 მარტი. ნაბეჭდი. მელანი. დაზიანებული. 3 გვ.

150. გურამ გეგეჭკორის ლექსი – „რიჩარდ III-ის დედას“ – მიძღვნილი მარინა თბილელისადმი.
1984 წ. 28 ნოემბერი. ავტოგრაფი. ფანქარი. 1 გვ.

151. მსახიობ ნინო საკანდელიძის ლექსი, მიძღვნილი მარინა თბილელისადმი.
1988 წ. 10 ივლისი. ბათუმი. ავტოგრაფი. შავი ავტოკალამი. 1 გვ.

მარინა თბილელის გარდაცვალებასთან

დაკავშირებული მასალა

152. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის სამძიმრის წერილი აკაკი დვალიშვილის ოჯახისადმი. ხელს აწერს ილია II.
2002 წ. 27 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. ბლანკი. 1 გვ.

153. საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სამძიმრის წერილი აკაკი და ბაია დვალიშვილებისადმი. ხელს აწერს ედუარდ შევარდნაძე.
2002 წ. 28 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. ბლანკი. 1 გვ.

154. ეთერ ფაღავას წერილი აკაკი დვალიშვილისადმი, მარინა თბილელის ბარელიეფის უსასყიდლოდ გადაკეთებასთან დაკავშირებით
2002 წ. ავტოგრაფი. შავი ავტოკალამი. 1 გვ.

155. ეთერ გიგიბერიას სამძიმრისა და თანაგრძნობის წერილი დვალიშვილების ოჯახისადმი, მარინა თბილელის გარდაცვალების გამო. ხელს აწერს ეთერ გიგიბერია.
უთარიღო. ავტოგრაფი. ლურჯი ავტოკალამი. 1 გვ.